მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მხარდაჭერა - სატყეო მდგრადი მეურნეების მართვის საქმეში ჩეხური ნოუ-ჰაუს გაზიარება, მათზე ზრუნვა და რეკრეაციული მიზნით მათი გამოყენება

პროექტის მიზნები

- ***<u>პროფესიული კადრების ბაზის გაძლიერება</u>*** ტყეების მდგრადი მეურნეების მართვისა და ტყეების რეკრეაციული მიზნით გამოყენების სფეროში, ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციისათვის ჩეხური ნოუ-ჰაუს (კარგი პრაქტიკის) გადაცემის გზით და საშუალო სასკოლო სატყეო განათლების მხარდაჭერით (ტყის სამუშაოებში მომავალი ტექნიკური და ეკონომიკური მუშაკები).

- ტყეების სარგებლიანობაზე ***<u>საჯარო ცნობიერების ამაღლება</u>***, მათი მდგრადი გამოყენების, ეკოტურიზმისა და ტყეების რეკრეაციული პოტენციალის გამოყენება, მიზნობრივი საჩვენებელი, საინფორმაციო კამპანიის საშუალებით.

მოქმედებებისა და აუცილებელი ღონისძიებების მიმოხილვა

1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჩვენ გადავცემთ ჩეხურ ნოუ ჰაუს ტყეების რეკრეაციული მიზნით გამოყენებისა და მათი მხარდაჭერის საკითხებში.

1.1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რეგიონის იურიდიულ მისამართზე, მცხეთაში ჩატარდება ***<u>ინტერაქტიული სემინარი</u>*** თემაზე: "ჩეხური გამოცდილება ტყეების მდგრადი მეურნეების მართვის საქმეში, ტყეების რეკრეაციულ გამოყენებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებში". ქალაქ ტრუტნოვში არსებული ჩეხეთის სატყეო აკადემიის ექსპერტი ბატონი ა. შკოდა აგრეთვე "Agora CE"-ს ექსპერტები ორივე სფეროში არსებული ჩეხური გამოცდილების თაობაზე წაიკითხავენ ლექციებს.

<u>მონაწილეები:</u> რეგიონალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობებიდან, რეგიონული განვითარების სააგენტოს წარმოამდგენლები, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, აგრეთვე ეროვნული სატყეო სააგენტოების წარმომადგენლები.

<u>ლექტორები: ბატონი</u> ალეშ შკოდა, ქალბატონები: ივანა ბურსიკოვა, ანდრეა პონდელიჩკოვა.

<u>მოცულობა:</u> 4 საათი.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის მაისში

<u>ინდიკატორი:</u> სემინარში 30 მონაწილე

1.2. ექსპერტები ანდრეა პონდელიჩკოვა და ალეშ შკოდა მცხეთა-მთიანეთის არსებული ტყეების ***<u>რეკრეაციული პოტენციალის შესახებ ექსპერტთა დასკვნას</u>*** შეიმუშავებენ აგრეთვე გამოავლენენ მიმხიბვლელ მოსამზადებელ ტერიტორიებს. ამის შედეგად შემუშავდება დოკუმენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ტყეების რეკრეაციული პოტენციალის შეფასების ანალიზი და წინადადებები მათი შემდგომი გამოყენებისათვის, ისე რომ იმავდროულად შეესაბამებოდეს სათანადო მართვას. აღნიშნული დოკუმენტი გადაეცემა რეგიონის წარმომადგენლებს, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ეროვნული სატყეო სააგენტოს.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის მაისი

<u>ინდიკატორი:</u> 10 გვერდიანი მოცულობის შემუშავებული ანალიზი

2. გავაძლიერებთ სატყეო მეურნეობის სფეროში პროფესიულ პოტენციალს, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ქალაქ ტრუტნოვში არსებული საშუალო სატყეო სკოლის გამოცდილების გაზიარებით.

2.1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის იურიდიულ მისამართზე ჩატარდება ინტერაქტიური სემინარი თემაზე: „ტყეებში მდგრადი მეურნეების მართვა, ტყეების გამოყენება რეკრეაციული მიზნებით, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დამოკიდებულება ტყესთან მიმართებაში და როგორ უნდა განხორციელდეს ამ მიმართების დადებითად მოტივირება - ჩეხეთში არსებული ტრანსფორმაციის გამოცდილება“. ლექციას წაიკითხავენ ბატონი ალეშ შკოდა და ქალბატონი ანდრეა პონდელიჩკოვა.

<u>მონაწილეები:</u> მცხეთა–მთიანეთის რეგიონში არსებული საშუალო და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლე სტუდენტები და პედაგოგები.
<u>მოცულობა :</u> 4 საათი
<u>ლექტორები:</u> ბატონი ალეშ შკოდა, ქალბატონი ანდრეა პონდელიჩკოვა
<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის მაისი
<u>ინდიკატორი:</u> ჩატარდება ოთხსაათიანი სემინარი, რომელსაც უნდა დაესწროს მინიმუმ 15 მოსწავლე სტუდენტი და ორი პედაგოგი.

2.2. წინამძღვრიანთკარში არსებული ***<u>სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის</u>*** მოსწავლე სტუდენტებისათვის და პედაგოგებისათვის ჩატარდება ***<u>საზაფხულო სკოლა</u>***, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მუშაობის სწავლა. ოთხი დღის განმავლობაში საზაფხულო სკოლის მონაწილეები ტყეში განახორციელებენ ***<u>საგანმანათლებლო საინფორმაციო ბილიკებს</u>*** (ასეთი ღონისძიება პირველად საქართველოში), საზოგადოებრივი კვლევებისათვის შეიმუშავებენ ***<u>კითხვარს</u>*** საზოგადოების ურთიერთობაზე ტყეებთან მიმართებაში და სათანადო მასალებს მოამზადებენ საჯარო საინფორმაციო კამპანიისათვის (საინფორმაციო ბუკლეტები, საგანმანათლებლო ბილიკი, ინტერაქტიული თამაშები და სხვა) .

მიზანს წარმოადგენს, სტუდენტებისათვის საზოგადოებასთან მუშაობის სწავლა და, ამავდროულად საზოგადოებას დავანახოთ ტყეების მნიშვნელობა, მათი დაცვა და საზოგადოებისათვის გამოყენება. ჩვენ გვსურს ევროპის ქვეყნებში ზოგადად არსებული მიდგომების შესაბამისად თანმიმდევრულად შევუდგეთ ტყის დღემდე არსებული მტრად აღქმის შეცვლას, რომელიც მაქსიმალურად საწვავის წყაროს წარმოადგენს.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის მაისი
<u>ლექტორები:</u> ექსპერტები ანდრეა პონდელიჩკოვა და ივანა ბურსიკოვა.
<u>მოცულობა:</u> 4 დღე
<u>ინდიკატორი</u>: 4 დღიანი სემინარი, მონაწილეობას უნდა მიიღოს 15 - 20 მოსწავლე სტუდენტმა, შემუშავდება საგანმანათლებლო საინფორმაციო ბილიკი და კითხვარი.

2.3. სატყეო სფეროში კადრების სხვა მხარდასაჭერას წარმოადგენს მასავლებლები **სასწავლო ვიზიტის** ორგანიზება. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ორი მასწავლებელი ხუთი დღით ეწვევა ქალაქ ტრუტნოვს ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც მათ უმასპინძლებენ ადგილობრივი სატყეო აკადემიის მოსწავლე სტუდენტები და პედაგოგები. ვიზიტის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ტყეებთან მიმართებაში არსებულ ჩეხურ პრაქტიკას, აგრეთვე საშუალება ექნებათ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. მათთვის ორგანიზებული იქნება ექსკურსიები ქალაქებში ვრხლაბი და ჰრადეც კრალოვეში, სადაც ადგილობრივი ექსპერტები გააცნობენ ქალაქისა და რეგიონის არსებულ მიდგომებს რეკრეაციული და სამურნეო ტყეებთან მიმართებაში. შეხვედრის დასასრულს ხელი მოეწერება სასწავლებელს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას.
<u>მოცულობა:</u> 5 დღე
<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის ივნისი
<u>ინდიკატორი</u>: 2 მასწავლებელი, ხუთდღიანი სასწავლო ვიზიტი
ივანა ბურსიკოვას შენიშვნა: ჩვენ მოგვიწევს ბიუჯეტის შესწორება, ანუ შესაბამისად უფრო მეტი ადამიანი შეძლებს გამგზავრებას. გავითვალისწინოთ მეტი მასწავლებლის რაოდენობა (მაგალითად ოთხი) ? ან სტუდენტებიც წამოვიყვანოთ?

3. საზოგადოებას საჩვენებელი საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით ინფორმაციას მივაწვდით ტყის მდგრადი მართვის თაობაზე
3. 1. ზაფხულის განმავლობაში სატყეო საქმის სტუდენტები (საზაფხულო სკოლის მონაწილეები) შერჩეულ მუნიციპალიტეტებში გამოკითხვას ჩაუტარებენ საზოგადოებას, იმის თაობაზე თუ როგორ აღიქვამენ ტყეს, გააზრებული აქვთ თუ არა მისი სარგებლიანობა, აგრეთვე რეკრეაციული გამოყენების შესაძლებლობები და ა.შ., ამის ინსტრუმენტს წარმოადგენს საზაფხულო სკოლის

პერიოდში მომზადებული კითხვარი. კვლევის ადგილობრივი მიმართულება სტუდენტის არჩევანის შესაბამისად განხორციელდება. ჩვენი გაანგარიშებით კვლევა უნდა განხორციელდეს მინიმუმ 7 მუნიციპალიტეტში. შედეგად თითოეულ მუნიციპალიტეტში უნდა შეივსოს 30 ცალი კითხვარი.

<u>კითხვარის საფუძველზე</u> ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შემუშავებული იქნება ყოვლისმომცველი ანგარიში, რომელიც წარმოაჩენს ტყისადმი სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულებას და მათ მიერ აღქმულ არსებულ ძირითად დაბრკოლებებს, რომლის აღმოფხვრაზე სახელმწიფო ადმინისტრაციასთან ერთობლივი მუშაობით მეტყეევეებმა უნდა იზრუნონ.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის ივლისი-აგვისტო

<u>ინდიკატორი:</u> 7 მუნიციპალიტეტში ჩატარდება გამოკითხვა, თითოეულ მუნიციპალიტეტში, მინიმუმ 30 კითხვარი იქნება შეგროვილი, ანუ 300 რესპონდენტი გამოიკითხება, შემუშავდება სოციოლოგიური ანგარიში.

3.2. ***<u>საიტზე და ფეისბუქში</u>*** ადგილობრივი მოსახლეობისათვის განთავსდება მიზნობრივი ინფორმაცია, აგრეთვე გავრცელდება ***<u>ბროშურები</u>*** (საზაფხულო სკოლის პერიოდში მომზადებული). განსაკუთრებით შემდეგ თემებთან მიმართებაში: ტყეების წვლილი, ტყეების დაცვის მნიშვნელობა, ტყეში დასვენების სხვადასხვა ხერხები, ბუნებისადმი კეთილგანწყობილი ქმედებები, არსებული ტყის ეკონომიური მართვის პრაქტიკა და შემდგომი სარგებლის მიღება, გამათბობლებით გათბობა, როგორც უადგილო მოპოვების წინააღმდეგ დაცვის მეთოდი, - ეკოლოგიური გათბობა და სახლების შესაბამისი თერმული იზოლაციით უზრუნველყოფა.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის ოქტომბერი

<u>ინდიკატორი:</u> სკოლის ვებგვერდზე ჩაშვებულია გვერდი, მომზადებული ფეისბუქგვერდი, მინიმუმ 300 ცალი დაბეჭდილი პროსპექტი, რომელიც დარიგდება რეგიონში არსებულ სოფლებში.

3.3. დუშეთის რეგიონში არსებულ შერჩეულ მუნიციპალიტეტში გაიმართება ***<u>საზოგადოებასთან შეხვედრა</u>***. თემები: ტყეების წვლილი, ტყეების დაცვის მნიშვნელობა, ტყეში დასვენების სხვადასხვა ხერხები, ბუნებისადმი კეთილგანწყობილი ქმედებები, არსებული ტყის ეკონომიური მართვის პრაქტიკა და შემდგომი სარგებლის მიღება, გამათბობლებით გათბობა, როგორც უადგილო მოპოვების წინააღმდეგ დაცვის მეთოდი, - ეკოლოგიური გათბობა და სახლების შესაბამისი თერმული იზოლაციით. უზრუნველყოფა. დისკუსიის საფუძველს წარმოადგენს კითხვარით ჩატარებული გამოკვლევა. დისკუსია დაეთმობა იმ მთავარ პრობლემებს, რომლებიც გამოვლინდება კვლევის შედეგად. მიზანს წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფისათვის ინფორმაციის პირადად გადაცემა.

<u>ლექტორი:</u> Agora CE-ს წარმომადგენელი, RDA და LEPL-ის სტუდენტების მონაწილეობით.

<u>ჩატარების თარიღი:</u> 2019 წლის ოქტომბერი

<u>მოცულობა</u>: 2 საათი

<u>ინდიკატორი:</u> 1 შეხვედრა, 2 საათიანი ლექცია, მინიმუმ 20 მონაწილის დასწრება

დასკვნა– ქართული მხარისთვის პროექტის მოქმედებების გადაცემა.